№ 137

ნელიწადი მეორე
მთავრობის მოამბე

ნელიწადი მეორე
ყოველდღიური გაზეთი

ფასი 1 შაბ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

ოთხშაბათი, 25 ივნისი 1919 წ.

მთავრობის მოამბე, ყოველდღიური გაზეთი

(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

„საქართველოს რესპუბლიკა“

მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის.

ხელის მოწერის ფასი: ერთი წლით—220 მ. ნახევარი წლით—110 მ., ერთი თვით 20 მ. ცალკე ნომერი ყველგან 1 მან. დამფუძნებელი კრების სტენოგრაფიული ანგარიშების დამატებით 2 მანეთი საგალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით. გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის 10 საათიდან ეაშუადღევის 3 საათამდე. ბარონის ქ. № 6, ტელეფონი 1—82.

კახეთის რკინის გზის
შენოგასა და ლიანდაგის პირველ უგნის უფროსი

ამით აცხადებს, რომ 30 ივნისს, დღის 1 საათზე, დანიშნულია შეჯიბრება საკალატოზო და მიწის სამუშაო გაცემაზე ლოჭინის ხიდთან მე-15 ვერ. კონუსების დასაცავ კედლების ასაშენებლათ. დაწვრილებითი პირობები და პროექტი შეიძლება გაისინჯოს უბნის უფროსის კანტორაში კირკის ქუჩა, № 32, ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა, დღის 8 საათიდან 1 საათამდი. იქვე შეიძლება მიღება განცხადების სათანადო ბლანკებისა. 1103 3—2

მიწად-მოქმედების საშინისტროს სასოსოფლო-სამეურნეო და სახელმწიფო მამულების განყოფილება

ამით აცხადებს რომ ამა წლის 30 ივნისის შუადღის 12 საათზე განყოფილების სადგომზე (პეტრე დიდის ქუჩა 22, მეორე სართული) მინისტრის ნებართვით დანიშნულია მეორე ზეპირი

საჯარო ვაჭრობა

ამ წლის მოსავლისა შემდეგ ეროვნულ მამულების ხეხილის ბაღებისა: სკრის ყოფილი ავსარქისოვების და ფრიდონოვის ბუხრანის ყოფილი არამიანცის ბორჩალოს მაზრაში. ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველმა უნდა შემოიტანოს განყოფილების სახელზე წერილობითი განცხადება ერთ მანეთიან ღერბის მარკით და ბეთ 30 პროცენტი იმ ჯამისა, რომლიდანაც ვაჭრობა იწყება. პირობების შეტყობა შეიძლება განყოფილებაში ყოველ დღე გარდა უქმეებისა, დილის 8 საათიდან დღის 2 საათამდე. 1106 2—1

კავკასიაში ტყავისა და ჩულის წარმოების გ. გ. ადელხანოვის აქციონერული საზოგადოება ტფილისში,

ამით აცხადებს ბ. ბ. აქციონერთა საყურადღებოდ, რომ 1919 წ. ივლისის 25-ს, საღამოს 7 საათზე, ტფილისის ვაჭართა ბანკის ბინაზე, ერევნის მოედანი, დანიშნულია საგანგებო

საზოგადო კრება

განსახილველი საგანი. 1. საზოგადოების ძირითადი თანხის გადიდება. 2. საზოგადოების წესდების ზოგი მუხლის შეცვლა. ამ კრებაზე ხმის უფლების მისაღებად ბ. ბ. აქციონერებმა წესდების მე-56 §-ის თანახმათ, უნდა წარმოადგინონ მოწმობები (ხელწერილები) საკრედიტო დაწესებულებებისა არა უგვიანეს 2 საათისა 1919 წლ. ივლისის 12-სა. საზოგადოების (ვორონცოვის ქ., № 82) ან ვაჭართა ბანკის გამგეობაში. 1114 1—1

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო და სახელმწიფო მამულთა განყოფილება.

ამით აცხადებს, რომ ამა წლის 10 ივლისს შუადღის 12 საათზე, განყოფილების ბინაზე (პეტრე დიდის ქუჩა, № 22) მიწათ-მოქმედების მინისტრის ნებართვით დანიშნულია საჯარო ვაჭრობა დუშეთის მაზრაში (საქართველოს სანხედრო გზაზე) მყოფ სახელმწიფო მინერალურ წყლების იჯარით გასაცემათ. 1) „კობისა“ სადგურ კობთან და 2) „ყაზბეგისა“ და „სიონის“ სადგურ ყაზბეგთან და სოფელ სიონთან. საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების ნებურველთ განყოფილების სახელზე უნდა შეიტანონ წერილობითი განცხადება 1 მანეთიან სელერბო გადასახადით, შეიძლება აგრეთვე კონვერტში დაბეჭდილ განცხადების შეტანა, რომელიც მიიღება ვაჭრობის დაწყებამდე, ე. ი. 10 ივლისის 12 საათამდე. საიჯარო პირობების გაცნობა შეიძლება განყოფილებაში კვირა-უქმის დღის გარდა ყოველ დღე შუადღის 12 საათიდან 2 საათამდე. 1120 1—1

ტფილისის ქალაქის მილიციის უფროსი

აცხადებს, რომ 24 ივნისისთვის დანიშნული საჯარო ვაჭრობა ცეცხლის ჩამქრობ რაზმის ეზოში სათანადო ადმინისტრაციის მიერ დაჭერილ ფქვილზე გადადებულია 26-ივნისისთვის 12-საათზე,

ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების უფლება ექნებათ მხოლოდ მათ, ვისაც შეტანილი აქვს საწინდრათ 50000 მანეთი. დანარჩენი პირობები ისევ ძველი რჩება. 1121 1—1

საქართველოს დამფუძნებელ კრების

კანცელარია ამით აცხადებს, რომ დამფუძნებელ კრების სტენოგრაფიული ანგარიშები ამიერიდან „საქართველოს რესპუბლიკის“ ხელის მომწერთ აღარ გაეგზავნებათ. საჭიროა ერობებმა, ქალაქებმა და სხვა კერძო თუ საზოგადო დაწესებულებებმა დროზე აცნობონ სტენოგრაფიულ ოქმების რედაქციას (სასახლე, ოთახი № 29. ტელ. 6—18) გამოწერის სურვილი, რათა ჩაეწერონ ხელისმომწერთა რიცხვში. ფასი წლიურად და თითო ნომრის ცალკე გამოცხადდება. 1122 3—1

ოფიციალური განყოფილება.

კანონი.

საზომ-საწონი პალატისა

1. გაუქმებულ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე ტფილისის საზომ-საწონთა გასასინჯი პალატა № 24.

2. ზემოხსენებული პალატის (მუხლი 1) ყოველი მოხელე დატოვებულ იქნეს შტატ გარეშე და ვინც ჩარიცხულ არ იქნება საქართველოს ახლად დაარსებულ საზომ-საწონთა პალატაში (მუხლი 3 ამა კანონის), მიეცეს სალიკვიდაციო შემწეობა საერთო წესით,

3. დაარსდეს საზომ-საწონთა პალატა. გადაეცეს ამ პალატას ყოველი ქონება ტ საქმე ტფილისის საზომ-საწონთა პალატის № 24, და დამტკიცებულ იქნეს ამ კანონთან დართული შტატი.

4. მიეცეს სახელმწიფოს ხაზინიდან საზომ-საწონთა პალატის შესანახად თანახმად ამ კანონთან დართული შტატისა და ხარჯთაღრიცხვისა ამა წლის იანვრის 1-დან ივნისის 1-მდე სულ 26958 მან. 33 კაპ.

შემდეგი განაწილებით:

I. შტატ გარეშე დარჩენილთა დასაკმაყოფილებლათ სალიკვიდაციო შემწეობათ 2000 მან.

II. ამ კანონთან დართული შტატისა და ხარჯთაღრიცხვისათვის 24958 მან. 33 კაპ.

5. ტფილისის საზომ-საწონთა პალატის № 24 კრედიტი ამა წლის ხარჯთ-აღრიცხვისა პირად შემადგენლობისათვის დახურულ იქნეს.

6. გადაცემულ იქნას საქართველოს საზომ-საწონთა პალატის განკარგულებაში ტფილისის საზომ-საწონთა გაუქმებულ № 24 პალატის ყოველი ანგარიში.

1919 წ. ივნისის 17.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი

ალ. ლიმთათიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ევგ. გეგეჭკორი.

შტატი საზომ-საწონთა პალატისა.

№№ რიგ.	თანამდებობა.	რიცხვი.	წლიური ჯამაგირი თვითეულს		ყველას იან ვრის 1 დან ივნისის 1-მდე.		შენიშვნა:
			მან.		მან.	კაპ.	
1	პალატის გამგე	1	10.200		4.250	—	
2	შემმოწმებელი	1	9.000		3.750	—	
3	„	1	7.800		3.250	—	
4	საქმის მწარმოებელი (იგივე პრაქტიკანტი)	1	7.200		3.000	—	
5	მსახური	1	3.600		1.500	—	
6	მეორე მსახური	1	3.600		1.500	—	
	ჯამი		41.400		17250	—	

	დამატება.	წლიურად.		1919 წ. იანვრის 1-დან ივნისის 1-მდე.	
		მან.	კაპ.	მან.	კაპ.
1	საკანცელარიო და სამეურნეო ხარჯი	5.000	—	2.083	33
2	ბინის ქირა	1.500	—	625	—
3	ბინის გათბობა-განათება	2.000	—	833	33
4	ბინის დაქირავება პროვინციაში	3.000	—	1.250	—
5	საგზაო ტ დღიური ხარჯი პროვინციაში	7.000	—	2.916	66
	ჯამი	18.500	—	7.708	33
	სულ	59.900	—	24.958	33

1919 წ. ივნისის 17.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალ. ლიმთათიძე

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის

მოადგილე ევგ. გეგეჭკორი.

დეკრეტი

1,500,000 მან. გადადებისა საქონლის ჭირის ასაცრელი შრატის დამზადებელ სადგურის გასაფართოებლად ქუთაისში.

1. გაღებულ იქნეს სახელმწიფოს ხაზინიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებაში მილიონ ნახევარი (1,500,000) მანეთი საქონლის ჭირის ასაცრელი შრატის დამზადებელი სადგურის გასაფართოებლად ქუთაისში.

2. დეკრეტი ესე შედის ძალაში დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1919 წ. ივნისის 17-ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი

ალ. ლიმთათიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ევგ. გეგეჭკორი.

ბრა ოფიციალური განცხადება

მთავრობაში

19 ივნისის სხდომა.

სხდომას დაესწრენ მთავრობის თავმჯდომარის თანამდებობის აღმასრულებელი ბ-ნი ევ. გეგეჭკორი. მინისტრები: ბბ. ხომერიკი, რამიშვილი, კანდელაკი. სახელმწიფო კონტროლიორი ბ. გოგიჩაიშვილი. მინისტრთა ამხანაგები: ბბ. ჭიჭინაძე, ერაძე, ცინცაძე, გელეიშვილი, გედევანიშვილი. დეპარტამენტის დირექტორები. ბბ. ჭიჭინაძე, ჭანტურიშვილი. საქმეთა მმართველი ბ. ჯაფარიძე. მდივნობს დ. ლომთაძე.

მილიციისთვის.

გადაიდოს 8000 მანეთი ათ მილიონია ფონდიდან ტფილისის მილიციის სარეზერვო კომისიის წევრთა და მომუშავეთა ჯილდოთ.

თხოვნის დაუკმაყოფილებლობა.

ინჟ. ფონდოლევის თხოვნა, მისი ქონების ხელუხლებლობის თაობაზე მთავრობის თავმჯდომარის განკარგულების ძალაში დატოვების შესახებ საქმის სასამართლოში საბოლოოთ გადაწყვეტამდე, განუხილავი დარჩეს.

უნივერსიტეტის ხარჯთ-აღრიცხვის პროექტი.

სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარჯთ-აღრიცხვის პროექტი (1919 წლ. 1 ივნისიდან) და 1 იანვრიდან ამა წლისა 1 ივნისამდე პირადი შემადგენლობის დამატებითი ჯამაგირების მისაცემათ 172635 მან. გადადების შესახებ მოწონებულ იქნას და გადაეცეს დამფუძნებელ კრებას.

სახლის გაყიდვის შესახებ.

ყარის მოწაფეთა შემწე ტფილისის გუბერნიის ყოფილ თავად აზნაურთა საზოგადოების სახლი, მდებარე ველიამინოვისა და განოვის ქუჩაზე, აღიარებული მთავრობის 21 სექტემბრის დადგენილებით საქართველოს სახელმწიფოს კუთვნილებათ არ გაიყიდოს და ეს მამული სხვა ქონებასთან ერთად დარჩეს სახალხო განათლების სამინისტროს გამგებლობაში.

სალიკვიდაციო დახმარება.

გადაიდოს იუსტიციის სამინისტროს განკარგულებაში 975 მ. ათ მილიონ ფონდიდან, ქუთაისის ყოფილ მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწის პ. გ. საციუკის სალიკვიდაციო დახმარებით დასაკმაყოფილებლათ დანარჩენ 2843 მ. 75 კ. ანგარიშში პ. საციუკს მიეცეს საკრედიტო მოწმობა რუსეთის ხაზინაზე.

დატუსალებულთა საქმეების გადასინჯვათ.

გადაიდოს ათ მილიონიან ფონდიდან 3900 მან. იუსტიციის სამინისტროს განკარგულებაში სასამართლოს წეს გარდშე დატუსალებულთა საქმეების გადასინჯვათ დაარსებულ საგანგებო კომისიის წევრთა დასაკმაყოფილებლათ.

უარი თხოვნაზე.

სილნაღის საპყრობილეს პატიმარის ნიკოლოზ პიჩინსკის შუამდგომლობა სასჯელის პატიების შესახებ უყურადღებოთ იქნეს დატოვებული.

კარაპეტ კარაპეტიანციანცის შუამდგომლობა ტფილისის სარევოლიუციო ტრიბუნალის 1919 წლ. მარტის 17-ის დადგენილებით გადაწყვეტილ სასჯელის პარტიების შესახებ, უყურადღებოთ იქნეს დატოვებული.

საფუთო გადასახადი.

შავქვაზე საფუთო გადასახადის გადიდების შესახებ მოხსენება გადაეცეს სახელმწიფო კონტროლიორს და გზათა უწყებას დასკვნისათვის.

ცალკე სატყეოს დაარსება.

მოხსენება ცალკე ფოცხოვის სატყეოს დაარსების შესახებ მოწონებულ იქნეს და დაარსდეს ცალკე ფოცხოვის სატყეო.

უფასო ვაგონის დათმობა.

რუს მასწავლებელთა ყრილობის დელეგატებს დაეთმოთ უფასოთ მეოთხე კლასის ვაგონი ბათომამდე სამი დღით.

სურსათის გადატან-გადმოტანა.

აეკრძალოს ერობებს გამოიტანონ განსაკუთრებული დადგენილებანი სურსათის გადატან-გადმოტანის შესახებ.

კრედიტის გახსნა.

მოხსენება 150,000 მან კრედიტის გახსნის შენახებ, ინგლისელებისაგან საექსპლოატაციოთ სილებულ ნატანებ-ბათომის რკინის გზის უბმის საჭირო ხარჯების დასაფარავად, ამა წლის 1 ივნისამდე, მოწონებულ იქნეს და საათანადო დეკრეტი გზათა დეპარტამენტის მიერ წარედგინოს დამფუძნებელ კრებას.

თამბაქოს დამზადება

1) დამზადებულ იქნეს 30,000 ფუთი თამბაქო, საიდანაც 17,000 ფუთი უკვე მოსულ შაბიამანის და გოგირდის ფასის ასანაზღაურებლად და 13,000 ფუთი კი იმ საქონლის ანგარიშში, რომელიც გამოგზავნილია საქართველოს მთავრობის სახელზე და ამჟამად გზაში იმყოფება და 2) გადაიდოს ცენტრალურ სასურსათო საბჭოს განკარგულებაში თამბაქოს დასამზადებლად ორი მილიონი მანეთი ოც მილიონიან ფონდიდან, როგორც კი სათანადო დეკრეტი მიღებულ იქნება დამფუძნებელი კრების მიერ (პირველ რიგში).

კოოპერატივთა შეკავშირება.

1) წინადადება მიეცეს სიხელმწიფოს ყველა დაწესებულებათა კოოპერატივებს, როგორც სამოქალაქო, ისე სამხედროს, მათ შორის ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოებასაც, შეკავშირდენ და შეადგინონ ერთი კოოპერატივი იმ პირობით, რომ ყველა დაწესებულებათა მოსამსახურენი ითვლებოდენ მის წევრებათ. 2) დაარსდეს კომისია ფინანსთა სამინისტროსი, შრომისა და სახელმწიფო კონტროლის წარმომადგენლებისაგან, რომ გამორკვეულ იქნეს რა სახის მონაწილეობა მიიღოს და კონტროლი გასწიოს მთავრობამ სახელმწიფოს დაწესებულებათა მოსამსახურეებისა ერთს მთლიანს კოოპერატივში. 3) ამ კონტროლის დებულების თანახმთ შემუშავებულ იქნეს დეკრეტი 4000000 მანეთის გაცემის შესახებ კოოპერატივთა სავაჭრო თანხებისათვის.

მთავრობისაგან.

მთავრობა აცხადებს, რომ ადგილობრივ გაზეთებში მოთავსებული ცნობა, თითქოს საქართველოს დელეგაცია იმყოფებოდეს ეკატერინოდარში და მოხალისეთა ლაშქრის სარდლობასთან აწარმოებდეს მოლაპარაკებას, სიმართლეს არ შეეფერება, და ამასთანავე მოხალისეთა ლაშქართან მთავრობას არავითარი წარმომადგენლები არა ჰყავს.

მიწათ-მოქმედების სამინისტროში

ღალის ამკრეფ საორგანიზაციო კომისიაში.

მიწათ მოქმედების სამინისტროს ღალის ამკრეფ საორგანიზაციო კომისიის პირველი სხდომა შესდგა ბ. ჩადუნელის თავმჯდომარეობით. დადგენილ იქმნა:

საარაინო კომისიების მუშაობა.

ეთხოვოს სამაზრო ცენტრებს წინადადება მისცეს საარაიონო კომიტეტებს თანახმათ ინსტრუქციის მექვსე მუხლისა სასწრაფოთ შეადგინონ სია საფონდო მიწებისა. აჩვენონ მათი რაოდენობა, ვის ხელშია დასამუშავებლათ და აგრეთვე მათი საშუალო მოსავალი. ეს ცნობები უნდა ჩააბარონ სოფლებში ღალის ამკრეფ აგენტებს, რომელნიც ამ ცნობების მიხედვით დაუვლიან საფონდო მიწებს და ღალის აკრეფას შეუდგებიან. პირი ამ ცნობებისა უნდა გამოიგზავნოს სამინისტროში.

ღალის მისაღები ბარათები.

ყოველივე აგენტს უნდა ჰქონდეს საკვიტანციო წიგნები, რომ ღალის აკრეფის დროს მოიჯარადრეს მისცენ სათანადო ბარათი ღალის გადახდაში. ბარათში ნაჩვენები უნდა იყოს სახელი და გვარი მოიჯარადრისა, დრო ღალის აღებისა, მისი რაოდენობა და აგენტის ხელმოწერილობა.

სასწრაფოთ მიეცეს წინადადება ბ-ნ სოლ. მაჩაბელს დააბეჭდინოს 1000 ცალი საკვიტანციო წიგნებისა, თითო წიგნი უნდა შეიცავდეს 50 კვიტანციას, რომელიც შესდება სამ ნაწილისაგან: ტალონი, რომელიც ეძლევა მოიჯარადრეს, დუბლიკატი ტალონისა, რომელიც ეგზავნება სამაზრო ცენტრს და ყდა, რომელიც რჩება წიგნში. ბარათები უნდა გადათვლილ და შემოწმებულ იქმნან სამაზრო ცენტრების მიერ.

თივის დაგროვების საკითხი.

ვინაიდან თივის დაგროვების დრო მოახლოვდა, ეთხოვოს სამაზრო ცენტრებს წინადადება მისცეს საარაიონო კომიტეტებს მიიღონ ზომები თივის ასაკრეფათ. თუ თივა იმისთანა ალაგსაა, საიდანაც მისი გამოტანა დანიშნულ პუნქტზე მოუხერხებელია ანუ ძვირი დაჯდება საარაიონო კომიტეტმა უნდა შეაფასოს სახელმწიფოს კუთვნილი ნაწილი თივისა და ადგილობრივათ გაჰყიდოს დაწესებულ ფასებში.

დაგროვებული ფული მოკლე ანგარიშით და საბუთებით საარაიონო კომიტეტმა უნდა გადასცეს სამაზრო ცენტრს, რომელიც ამ ფულს შეიტანს ხაზინაში, სახელმწიფოს შემოსავალში.

ტფილ. სამაზრო ცენტრზე.

ეთხოვოს ბ-ნ სოლ. მაჩაბელს პირადათ მოელაპარაკოს ტფილისის სამაზრო ერობის წარმომადგენელს იმის გამოსარკვევათ, თუ რა გაკეთდა მაზრაში ღალის აკრეფის მოსაწესრიგებლათ.

ტომრების საკითხი.

გაეგზავნოს შეკითხვა სასურსათო საბჭოს რამდენი ტომარა შეუძლია ჩააბაროს სამინისტროს ეხლავე ხორბლის ასაკრეფათ და რამდენს მოგვცემენ მომავალში.

საორგანიზაციო კომისიის სხდომები.

დაინიშნოს ყოველ დღე $2^1/_2$ ს. მოწვეულ იქმნას შტაბის წარმომადგენელი იმის გამოსარკვევათ, თუ რა მონაწილეობას იღებს შტაბი ამ შენობაში.

ბრიტანეთის მთავრობის წინადადება დემორკაციული ხაზის შესახებ.

მის აღმატებულებას საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს მთავარი შტაბი № 244/39 11 ივნისი.

თქვენო აღმატებულებავ!

1. მე მივიღე ბრძანება გაცნობოთ თქვენ შემდეგი ბრიტანეთის მთავრობის მის უდიდებულესობისა ლონდონში.

გადაწყვეტილია, რომ დემორკაციული ხაზი გენერალ დენიკინისა და კავკასიის სახელმწიფოთა შორის უნდა იყოს შემდეგი: (რუქა 32 მილი 1 დმ.) მდ. ბზიბის შესართავიდან ჩრდილოეთისკენ ამ მდინარით სოხუმის ოლქის საზღვრამდე, შემდეგ, აღმოსავლეთით სოხუმის ოლქ., ქუთაისის გუბ., ტფილისის გუბ. დაღესტანის ოლქ., ე. მ. ბაკუნტამდე; სამხრეთით რკინის გზით პეტროვსკ-ვლადიკავკაზი, იქიდან სამხრეთ აღმოსავლეთით რკინის გზის პარალელურათ (5 მილით რკინის გზის სანხრ.) კასპიის ზღვის ნაპირამდე 5 ვერსით პეტროვსკიდან სამხრეთით.

გენერალმა დენიკინმა მიიღო ბრძანება, რომ მისი ჯარები არ გადავიდნენ აღნიშნულ ხაზის სამხრეთით, და ამიერ-კავკასიის სახელმწიფოები კი არ უნდა გადავიდნენ ამ ხაზის ჩრდილოეთით.

ზემოაღნიშნულის თანახმათ, საქართველოს ჯარებმა უნდა დაიჭიონ სამხრეთით მდ. ბზიბიდან. ამიერ-კავკასიის სახელმწიფოებმა თავი უნდა შეიკავონ ყოველ გვარ აგრესიულ მოქმედებიდან მოხალისეთა რაზმის წინააღმდეგ და ხელი შეუწყონ მაინც გენერ. დენიკინს ნავთისა და სხვა სურსათის მიცემით და არ გაუშვან ეს სურსათი ბოლშევიკებთან.

ამ პირობის არ შესრულება გამოიწვევს მომავალში ბრიტანეთის კარგ განწყობილების სრულიად შეცვლას და მის უდიდებულესობის მთავრობას მოუსპობს საშუალებას ხელი შეუშალოს დენიკინს ამ ხაზიდან სამხრეთით გადასვლაში.

2. მე ვიმედოვნებ, რომ მოკლე ხანში თქვენი აღმატებულებიდან მის უდიდებულესობის მთავრობის გადასაცემათ მივიღებ ცნობას, რომ თქვენი სამხედრო ძალები გადაყვანილი იქნება ზემო აღნიშნულ ხაზის იქით.

გენერალ მაიორი, ინგლისის ძალების უფროსი ამიერ კავკასიაში **ჟ. კიდი.**

საქართველოს რესპუბლიკის ერობათა ექიმების ყრილობა

ამ დღებში დასრულდა საქართველოს რესპუბლიკის ყველა ერობების საექიმო-სასანიტარო განყოფილებების გამგე ექიმთა და გამგეობის წევრთა პირველი ყრილობა. ყრილობამ განიხილა მრავალი მიმდინარე საკითხები და მისი მუშაობაც მეტად საქმიანი აღმოჩნდა, საერობო ექიმთა წარსულ მოქმედების განხილვის დროს გამოირკვა, რომ მათ მრავალ მხრივ დაბრკოლებათა გარდა, არ ჰქონიათ გეგმა საერთო მოქმედებისა და მათ საქმიანობასაც კლებია მიზანშეწონილობა. გამოირკვა აგრეთვე ისიც, რომ სხვა და სხვა გადამდები სნეულებანი ჩვენს ხალხში, როგორც სხვაგან, ისე ვავრცელებულა და ვრცელდება დღესაც, რომ ისინი გადაშენებას უქადიან ჩვენს ერს, თუ მათ წინააღმდეგ დღესვე რადიკალური ზომები არ იქნა მიღებული. ამ მხრივ ყრილობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია უფასო საექიმო დახმარების მოწყობას, რასაც, როგორც რუსეთის ერობათა მოღვაწეობის მაგალითი გვიჩვენებს, დიდი დახმარება შეუძლია გაუწიოს ჩვენი ხალხის გაჯანსაღებას. ამ საკითხებს გარდა ყრილობამ მოისმინა გამოცდილ ექიმთა მოხსენებები მომავალ მუშაობის შესახებ, შეადგინა გეგმა საერთო მოქმედებისა, რომელიც აკავშირებს და საერთო მიზანს უსახავს რესპუბლიკის ყველა ერობების საექიმო და სასანიტარო განყოფილებებს და მიიღო შესაფერი რეზოლიუციები, რომელნიც ჩვენს გაზეთში იბეჭდება:

1) ერობის უსასყიდლო მედიცინის მოწყობის და საერობო მედიცინის პერსონალის ჯამაგირების რაოდენობის შესახებ:

ევროპაში, აგრეთვე რუსეთში საერობო მედიცინა უსასყიდლო პრინციპზედ იყო დამყარებული. ექიმი რჩევა-დახმარებაში, როგორც ამბულატორიაში, ისე ბინაზედ და აგრეთვე წამალში ავათმყოფი სასყიდელს არ იღებდა. ექიმს და აგრეთვე დანარჩენ სამედიცინო პერსონალს ერობის სამსახურში კერძო პრაქტიკის ნება არა ჰქონდა. ასეთმა ურთიერთექიმსა და და ავათმყოფის შორის-დამოკიდებულებამ, ვინაიდან მათ შუა ფული არა ტრიალებდა, სულ სწვა სული, სხვა ელფერი მისცა ერობის მედიცინას.

უფრო ღარიბი ავადმყოფი მოურიდებლად, თავისუფლად, გულახდილად მიდიოდა ერობის ექიმთან. მას წინ ფული არ ეღობებოდა ერობის ექიმი თავის სარჩენად თვითეულ ავადმყოფზედ—მხოლოდ იმიტომ, რომ უკანასკნელს უბედურება ეწია და და ავად გახდა—ხარკს არ ჰკრეფდა. ამ ნიადაგზედ ერობის მედიცინაში სულ სხვა ატმოსფერა შეიქმნა. ეს იყო ერთი უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ ერობის მედიცინა მეცხრამეტე საუკუნის დამლეგს პრაქტიკული მედიცინის იდეალურ ფორმად გადაიქცა. ამიტომ მოხდა ის, რომ რუსეთის საერობო მედიცინას, 1914 წელს, როცა მან თავის არსებობის 50 წლის იუბილეი იდღესასწაულა, დედამიწის თითქმის ყოველი კუთხიდან მოწინავე ერები მიესალმნენ და წარმატება უსურვეს. გაითვალისწინა რა ყველაფერი ეს, საქართველოს რესპუბლიკის ყველა ერობების ექიმთა პირველმა ყრილობამ ერთხმად დაადგინა.

1.„ საქართველოს რესპუბლიკაში საერობო მედიცინა უსასყიდლო პრინციპზედ მოეწყოს: ავადმყოფის რჩევა-დარიგება, როგორ ამბულატორიაში, აგრეთვე ავადმყოფის ბინაზედ და წამლობითი დახმარება უფასოდ ხდებოდეს.

კერძო პრაქტიკის უფლება სრულებით აეკრძალოთ ერობის საექიმო-სასანიტარო დარგის მოსამსახურეთ.

2.„ საექიმო-სასანიტარო დარგში გამგებლობა და სამედიცინო პერსონალის ურთიერთ დამოკიდებულება მხოლოდ კოლეგიალურ ნიადაგზედ დამყარდეს.

3.„ სამედიცინო პერსონალს, რომ სისწორით და პირნათლათ გაატაროს ცხოვრებაში საერობო მედიცინის ზემოაღნიშნული უსასყიდლობის პრინციპი,—ერობიდგან მიეცეს დროისა და თავის პროფესიის შესაფერისი ჯამაგირები:

ა) ექიმს თვიურად 3000 მ., ბ) ფერშალს და ფერშელიცას, აკურშერკას თვიურად ორი მესამედი ექიმის ჯამაგირისა, გ) როტის ფერშალს და ბებია ქალს ნახევარი ექიმის ჯამაგირისა.

შენიშვნები: 1) განსაკუთრებული პირობების გამო ზოგიერთ მაზრებში (რაჭა, ლეჩხუმი, თიონეთი, დუშეთი, ახალციხე-ახალქალაქი).

ექიმს—ბინის, გათბობის და განათებისთვის მიეცეს ზედმეტი 500 მან., საშუალო პერსონალს—ზემოაღნიშნული წესით—ორი მესამედი და ნახევარი.

2) საერობო მედიცინის პერსონალს სასტიკადა აეკრძალოს ერთსა და იმავე დროს ორ ადგილზე სამსახური.

რეზოლიუცია სამედიცინო პერსონალი, სტაციონალური, ამბულატორიული, ეპიდემიური დახმარების და მუშაობის ნორმის შესახებ.

1) თვითეული მაზრა დაიყოს საერობო სამკურნალო უბნებათ: რადიუსი თითეული უბნისა 8—12ვერსს უნდა უდრიდეს და 1200—1500 მცხოვრებს შეიცავდეს.

2) ერობა აწყობს ყოველ უბანში ქსენობებს (სამკურნალოებს) 10—15 საწოლით.

შენიშვნა: თუ ვინიცობაა ქსენონი ვერ გაიხსნა, ერობა აწყობს საექიმო პუნქტს ამბულატორიით.

3) საავადმყოფოების შტატი: ერთი ექიმი, ორი ფერშალი, (მათში ერთი ფერშელიცა—ბებია ქალია), ერთი მოწყალების და, ერთი ფარმაცევტი, ორი მომვლელი, ერთი მზარეული და ერთი დარაჯი.

4) საექიმო პუნქტის შტატი: ერთი ექიმი, ერთი ფერშალი, ერთი ბებია-ქალი და ერთი დარაჯი.

5) ყოველ საუბნო საავადმყოფოში წამლებს უნდა ამზადებდეს ფარმაცევტი.

6) ყრილობა საჭიროდ აღიარებს, რაც შეიძლება სამკურნალო უბანში გაძლიერდეს ამბულატორია და სტაციონალური მუშაობა: რაც შეეხება ბინაზე ავადმყოფთა ნახვას, ექი-

მი დაუყოვნებლივ უნდა წავიდეს გართულებულ მშობიარობის სისხლის დენის, მოწამვლის, დაწვის დაჭრის და სხვა მოულოდნელ უბედურ შემთხვევებში.

7) ეპიდემიასთან საბრძოლველად ერობას უნდა ჰყავდეს საკმაო რიცხვი სათადარიგო ექიმებისა.

8) ყოველ უბანში ამბულატორია სწარმოებს ოთხი საათის განმავლობაში: ამბოლატორიულ ავადმყოფთა საამბულატორიო წიგნში ჩაწერა სწყდება ერთი საათით ადრე ამბულატორიის გამგეობამდინ.

9) საავადმყოფოში და პუნქტზე დანარჩენი მუშაობის დროს მოწესრიგება ხდება ექიმის მიერ ადგილობრივ პირობების და გარემოების მიხედვით.

10) საექიმო პერსონალი კვირაში თავისუფალია ერთი დღე: წელიწადში ერთი თვე.

11) საშუალო პერსონალის სამუშაო დროს და საქმიანობას ანაწილებს უბნის ექიმი.

12) საექიმო პერსონალს უნდა ჩაეთვალოს სამსახურის დრო საქართველოს რესპუალიკის ყოველ დაწესებულებებისა, სადაც მან ერობამდე იმსახურა.

13) უბნის ექიმის ადგილას მიიღებიან სრულ კურს დამთავრებულ დიპლომიან ექიმების გარდა 10 სემესტრიანი უდიპლომო ექიმებიც.

14) ერობის უბანში საერობო ფერშლებს ეკრძალებათ დამოუკიდებელი პრაქტიკა, არა ერობის კერძო მომუშავე ფერშლები უნდა მიეწერნენ საექიმო უბანს და უბნის ექიმის ხელმძღვანელობით იმუშაონ.

15) აგრეთვე ცრუ ექიმებს და ექიმბაშებს სასტიკათ აეკრძალოთ ხალხის მოტყუება და ტანჯვა-წვალება.

16) ეკრძალება ყოველივე საექიმო პერსონალს უბანში წამლეულობით ვაჭრობა.

17) საექიმო პერსონალი სამსახურის ასრულების დროს ყოველივე უბედურ შემთხვევაში უნდა იყოს დაზღვეული: ნორმას დაზღვევისას იმუშავებს სახელმწიფო.

18) ერობების საექიმო უბნებში უნდა სწარმოებდეს საჭირო წიგნები.

რეზოლიუცია მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის ყველა ერობების ექიმთა პირველმა ყრილობამ მოისმინა მოხსენება ყრილობის საპროგრამო საკითხზედ „ერობა და მალარიასთან ბრძოლა“ ექ. ი. გომართელისა და გაათვალისწინა ის, თუ რა დიდ ეროვნულ საფრთხეს წარმოადგენს მალარია ქართველი ხალხისთვის, ვინაიდან რესპუბლიკის მთელ დიდ რაიონებში და ზოგან მთელ მაზრებში გაზაფხულ-ზაფხულ-შემოდგომით, განურჩევლად სქესისა და წლოვანებისა ყველა ავად არიან მალარიით, რომელიც უკიდურესად ასუსტებს ადამიანის სხეულს, რადგანაც იგი სისხლის ავადმყოფობაა, ანვითარებს მასში ბოროტ თვისებიან სისხლნაკლებობას და ამით ნაყოფიერ ნიადაგს უმზადებს მეორე დაუძინებელ მტერს ქართველი ერისას-ჭლექს. ყრილობამ გაითვალისწინა რა ყველაფერი ეს, ერთხმათ დაადგინა:

1. საჭიროა მთავრობამ და თვითმართველობებმა, შეთანხმებით სახელმწიფოებრივი მასშტაბით, სისტემატიურად მალარიასთან ბრძოლა აწარმოონ:

ა) გააშრონ ჭაობიანი და დაბალი ნესტიანი ადგილები;

ბ) მორწყონ ნავთით ის ადგილები, სადაც მალარიის გამავრცელებელი კოლო „ანოფელესი ბუდობს;

შენიშვნა: ჭაობიან ადგილების გაშრობაში კერძო ინიციატივისას ფართე ასპარეზი უნდა დაეთმოს, თუ ვინიცობაა მსურველები აღმოჩნდებიან იმ პირობითაც კი, რომ გაშრობილი ადგილები მათ კერძო საკუთრებად გადაეცემათ.

ვ) გაამრავლონ მალარიით დაავადებულ ადგილებში ის ცხოველები, რომლებიც როგორც კოლო „ანოფელესს“, ისე მის ჩანასახს სპობენ, მაგალ. თევზი, ღამურა და სხვა.

გ) მოაწყონ მალარიით დაავადებულთა უფასოდ ქინიზაცია და მალარიის წინააღმდეგი მექანიკური პროფილექტკა (ბადეების ხმარება და სხვა).

2. მოეწყოს ერობათა ცენტრალურ ბიუროსთან მალარიით ყველა დაავადებულთა ნამდვილი სწორი რეგისტრაცია მალარიისთვის შემოღებულ განსაკუთრებული ბარათებით. მალარიით დაავადებულთა რეგისტრაციას აწარმოებს აგრეთვე თვითეული ერობის სამაზრო სანიტარული საბჭო იმავე ბარათებით.

3. მოაწყონ ერობებმა რწმუნებულ მაზრებში სოფლად მალარიის შესახებ ხალხისთვის გასაგები ლექციები ბუნდოვანი ფარნით სურათების ჩვენებით. საჭიროა აგრეთვე მდაბიო ენით დაწერილი ბროშიურები და ფურცლები ურიგდებოდეს უფასოდ ხალხს.

რეზოლიუცია მომარაგების კომიტეტის საქმიანობის შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის ყველა ერობების ექიმთა ყრილობამ მოისმინა რა ცნობა მომარაგების კომიტეტის მიერ ქინაქინაზედ, ზეთზედ და სხვა წამლეულობაზედ ერობებისთვის დანიშნულ ფასების შესახებ—დაადგინა:

1) ყოვლად დაუშვებელია, რომ მთავრობის უწყების დაწესებულება—მომარაგები კომიტეტი—ქინაქინას, ზეთს და სხვა წამლეულობას ერობებს აწვდიდეს იმ ფასებში, რა ფასებიც დღეს სპეკულიაციით ბაზარზედაა შექმნილი.

2) ვინაიდგან ქ. ქუთაისის მომარაგების კომიტეტი საექიმო-სასანიტარო ქონება და წამლეულობა დიდი ხანია გადაეცა ერობებს, რაც მათ უკვე გაინაწილეს—სამართალი მოითხოვს, რომ ქალ. ტფილისშიც მომარაგების კომიტეტის საექიმო-სასანიტარო ქონება და წამლეულობა უფასოდ გადაეცეს ერობებს, მით უმეტეს, რომ იმ ქონებას უკვე დიდი ხანია ჰპირდებოდნენ ერობებს, როგორც პირდაპირ და უპირველეს იმ ქონების მემკვიდრეებს.

3) თუ ვინცობაა მომარაგების კომიტეტის მთელი საექიმო-სასანიტარო ქონება და წამლეულობა ერობებს არ გადაეცემათ—საჭიროა ქინაქინა და სხვა წამლეულობა, ვინაიდგან ერობებმა უსასყიდლო მედიცინა შემოიღოს, ეძლეოდეთ ერობებს სრულიად უფასოდ—ამას მოითხოვს გადაგვარების გზაზედ დამდგარი ქართველი ხალხის ჯანმრთელობის აღორძინება.

4) საჭიროა მომარაგების კომიტეტის საქმიანობა, იქ შემოღებულ წესრიგს სათანადო უწყებამ ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს, რადგანაც ძალიან ხშირად ერობებს ხალხის ჯანმრთელობისთვის საჭირო ქონება და წამლეულობა მომარაგების კომიტეტის საწყობებიდან სრულიად ვერ გამოაქვს და თუ გამოაქვს ხშირად ხანგრძლივი დაგვიანებით, რაც ხალხის ჯანმრთელობას დიდს ზიანს აყენებს.

ყრილობის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ექ.

ი. ლიმაური.

ერობა

წვრილი საერობო ერთეულები (თემი) თელავის მაზრაში

მას შემდეგ, რაც თელავის ერობა მოეწყო მისი გამგეობა, როგორც აღმასრულებელი ორგანო ჩაუდგა სათავეში მთელი მაზრის ეკონომიურ და კულტურულ საქმიანობას. ერობის გამგეობა ცდილობს ხმოსანთა ადგილობრივი დახმარებით ცხოვრებაში გაატაროს ხმოსანთა ყრილობის დადგენილებანი, მაგრამ ამას ხელს უშლის ის გარემოება, რომ ყველა რაიონში არ მოიპოვება ერობის წარმომადგენელი (ხმოსნები).

თავის თავად ცხადია თელავის ერობის მისწრაფებას შეადგენს, რაც შეიძლება ფართოთ მიიღოს ხალხმა მონაწილეობა ადგილობრივ მართვა-გამგეობაში, რისთვისაც გამგეობა ცდილობდა, რაც შეიძლება მალე მოწყო სოფლად წერილი ერთეულები და ეხლა უკვე განახორციელა ეს.

წვრილი ერთეულების არჩევნები დანიშნული იყო 22 და 29 ივნისს.

ამ მიზნით მაზრა გაყოფილია 4 რაიონათ—ყვარლისა, ნაფარეულისა, წინინდლისა და იყალთოსი.

ყვარლის რაიონის სოფლებში არჩევნები მოხდა 22 ივნისს, ხოლო დანარჩენებში 29-ში.

თელავის მაზრა შესდგება 13 წვრილ საერობო ერთეულისაგან (თემისაგან).

ორგანიზაცია ამ ერთეულებისა იქნება ისეთივე, როგორც სამაზრო ერობისა ე. ი. ეყოლება პრეზიდიუმი: თავმჯდომარე, მისი ამხანაკი და მდივანი. გამგეობა უნდა შესდგებოდეს 3 კაცისაგან, რომელსაც ეყოლება მიწვეული მდივანი. პრეზიდიუმი იქნება უჯამაგირო; რაც შეეხება გამგეობის წევრებს, მათ უნდა მიეცეთ სასყიდელი, რადგანაც ესენი უნდა მუდმივ იყვნენ ადგილობრივ და აწარმოვონ მიმდინარე საქმეები.

წვრილ ერთეულებს, თავის თავად ცხადია აწყობს სამაზრო ერობის გამგეობა თავის ხელმძღვანელობით და ხარჯით, რომელიც გამოანგარიშებულია 8100 მან. ჰყავს 4 ინსტრუქტორი ჯამაგირით, თითოს 1500 მანეთი, 13 მდივანი საარჩევნო კომისიებისთვის ჯამაგ. თითოს 150 მ. და საკანც. ხარჯები 650 მან. ყველა საარჩევნო რაიონში კომისიები უკვე არჩეულია და წვრ. ერთეულის პრეზიდიუმ-გამგეობის კანდიდატებიც დასახელებულნი არიან.

აკლია მარტო ფორმალური არჩევნები, რომელიც, როგორც ზემოდ აღვნიშნეთ 22 და 29 ივნისს მოხდება.

წვრილი ერთეულის რეზიდენციები იქნება შემდეგ სოფლებში: ძველ-გავაზში, ყვარელში, შილდაში, ენისელში, ფშაველში, რუისპირში, ზემოხოდაშენში, კურდღელაურში, წინანდალში, აკურაში, ვაჩნაძიანში, ურიათუბანში და ალვანში.

მუნიციპალური ცხოვრება

ჭიათურის თვითმართველობაში.

ქალაქის თვითმართველობის მიერ შავი-ქვის მრეწველთა საბჭოს დაწესებულებათა მიღება.

თავმჯდომარის წინადადებით საბჭო იხილავს საბოლოო წინადადებებს შემუშავებულს შერეული კომისიის მიერ, მრეწველთა საბჭოს და ქალაქის თვითმართველობის შორის. რეზოლიუციებში შეტანილია შემდეგი დამატებანი:

1) ქალაქის თვითმართველობას უნდა გადაეცეს საკუთრებათ ვაჟთა უმაღლეს დაწყებითი სკოლის ინსპექტორს ბინა და ეზო, სადაც ეს სახლია აშენებული, იმ შემთხვევაში თუ საბჭო შესაძლებლად დაინახავს თავის შენობათა სხვა ადგილზე აგებას და ამ ადგილის განთავისუფლებას.

2) კომისარიატის შენობები და მიწა, სადაც ეს შენობებია აგებული, რჩება შავი-ქვის საბჭოს საკუთრებათ და გადაეცემა ქალაქს უსასყიდლო სასარგებლოდ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქალაქსა და მრეწველთა საბჭოს შორის შეთანხმება მოხდა, რათა საერთოდ იყოლიონ მილიცია. უსასყიდლოდ სარგებლობა ქალაქს შეეძლება კომისარიატის შენობებით და ეზოთი იმ დრომდე, სანამ საბჭოს და ქალაქს შორის იქნება ხელშეკრულება საერთო მილიციის ყოლისა.

3) სალიკვიდაციო ფული რაც უნდა გადაეცეს ქალაქიდგან საბჭოს ყოფილ იმ მოსამსახურეთ, რომელნიც გაანთავისუფლებენ თავის ადგილს სიძაბუნის ანუ სიკვდილის გამო ინაწილებენ ურთიერთ შორის შავი-ქვის მრეწველთა საბჭო და ქალაქი ჭიათურა იმის მიხედვით, თუ სად რამდენი ხანი იმსახურა გასულმა მოსამსახურემ.

4) სიძაბუნის დასამტკიცებლად წარმოდგენილი უნდა იქნეს მოწმობა საბჭოსა და ქალაქის ექიმებისაგან ხელმოწერილი.

5) ქალაქი ღებულობს თავის თავზე ქალაქზე გადასულ დაწესებულებათა მოსამსახურეთა ჯამაგირებით დაკმაყოფილებას მიმდინარე წლის 1 ივანობისთვიდან.

6) საკითხი სასწავლებლის ეკლესიის შესახებ მოხსნილ იქნეს.

განიხილა-რა ქალაქის საბჭომ აღნიშნული დამატებანი რეზოლიუციებზე დაადგინა: ქალაქის საბჭო ღებულობს რეზოლიუციების დამატებებს, რომელიც შეიმუშავა კომისიამ და დამტკიცა მრეწველთა მე-XXII რე ყრილობამ.

შავი ქვის მრეწველთა საბჭოს ქონების ჩაბარება და ფაქტიური მიღება ამ ქონებისა მიენდოს გამგეობას და კომისიას, რომელშიაც ხმოსნებიდან შევა სამი კაცი. კომისიაში ქალაქის საბჭომ აირჩია: ს. სიხარულიძე ალ. გიმრეკელი და კ. ჭიჭინაძე.

ქალაქის თვითმართველობის 1919 წ. ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება.

საბჭო იხილავს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მოხსენებას შესახებ 1919 წლის ხარჯთ-აღრიცხვისა.

კომისიას განუხილავს გამგეობის მიერ წარმოდგენილი ხარჯთ-აღრიცხვა 1919 წ. საიდანაც ირკვევა, რომ ქალაქის თვითმართველობის მთელი წლის გასავალი შეადგენს 1.500 000 მან. შემოსავალი კი ნავარაუდევია არა უმეტეს 695.100 მ. ასე რომ ქალაქს დასჭირდება აიღოს სესხი დეფიციტის დასაფარავად 804.900 მან.

წამოყენებულ ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ მოხსენებას აკეთებს ქალაქის თავი პ. მოდებაძე.

ხმ. ვოქ. მელიქოვს წინადადება შემოაქვს დაადოს ქალაქმა შემოტანილ გატანილ საქონელზე ქ. ჭიათურაში ფუთზე 30 კაპ. მსგავსად სხვა ქალაქებისა. კრება წინადადებას აძლევს მელიქოვს თავის მოსაზრებანი წარუდგინოს გამგეობას, რომ მან შემდეგი მორიგი სხდომისათვის დასვას ეს კითხვა. 1919 წლის ხარჯთ-აღრიცხვას ქალაქის საბჭო უცვლელად ამტიცებს.

სესხის აღება.

დეფიციტის დასაფარავად ქალაქის საბჭო საჭიროდ სცნობს აღებულ იქნეს სესხი. სესხის აღების შესახებ მოხსენებას აკეთებს ქალაქის თავი, რომლის აზრითაც საჭიროა აღებულ იქნეს სესხათ 1.000.000 მან.

მცირე კამათის შეიდეგ ქალაქის საბჭომ დაადგინა: ნება მიეცეს გამგეობას აიღოს დეფიციტის დასაფარავად და დაწესებულებათა შესანახად სესხი 1.000.000 მან. დეტალურ პირობების შემუშავების გეგმას ქალაქის საბჭო ანდობს გამგეობას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქციისგან

დღეიდან „საქართველოს რესპუბლიკის“ ხელის მომწერთ საქ. დამფუძნებელი კრების სტენოგრაფიული ანგარიშები აღარ გაეგზავნებათ, ვინაიდან დამფ. კრების კანცელარიამ თვით მოაწყო თავისი სტამბა და თვითონ ბეჭდავს სტენ. ანგარიშებს. ვისაც სურს სტენოგრაფის გამოწერა უნდა მიმართოს სტენოგრაფიული ოქმების რედაქციას: სასახლე, ოთახი № 29.

უცხოეთში

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო).

ინგლისური პრესა.

რუსეთის საბჭოთა მთავრობამ ბელაკუნის მთავრობასთან ერთად ავსტრიაში საბჭოთა მთავრობის დასამყარებლად და სრული ტრიუმვირატის შესაქმნელად დიდი კამპანია დაიწყო და ამ მიზნისთვის ყველა საშუალებით სარგებლობს პროპაგანდით, ფულით და სამხედრო ძალით. ავსტრიის მთავრობას შეეძლო ბალშევიკების აჯანყება ვენაში უმნიშვნელო ძალებით ჩაეფრო. როგორც დეპეშით გადმოგვცემენ, ავსტრიის ეხლანდელ მთავრობის მდგომარეობა მტკიცე არ არის. ბუდაპეშტში შესდგა კონგრესი, რომელსაც დაესწრენ ავსტრიის, რუსეთის, იტალიის, უნგრეთის, მიუნქენის და ფიუმეს სლოვაკთა წარმომადგენელნი.

გერმანელები ალბათ მოელოდნენ, რომ ზეპირ მოლაპარაკების საშუალებით მისცემოდათ და მოკავშირეთა მიერ მათთვის ულტიმატუმის გაგზავნამ მათზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა. განაგრძობენ პოლონეთის, ბალტიის მხარის და სხ. საკითხების განხილვას. გადაწყვეტილია, გალიციაში სახელმწიფოებრივი მართველობა შექმნან.

ვერსალი. გერმანელებმა ალბათ დაკარგეს ზეპირი მოლაპარაკების იმედი. 120 გერმანელი ჯერ ისევ ვერსალშია და გერმანიაში საჩქაროდ გზავნიან ყველა წიგნებს, საბუთებს და აგრეთვე ტელეფონის და ტელეგრაფის მოწყოლებებს.

მოკავშირეებმა ფოშს უბრძანეს, რომ მისმა ჯარმა გერმანიის წინააღმდეგ გაილაშქროს, თუ გერმანელებმა უარი სთქვეს ხელშეკრულების მოწერაზე. საფრანგეთის სამხედრო წრეები ირწმუნებიან, რომ მარშალ ფოშის უმაღლეს მთავარსარდლობით რეინიდან დუნაიმდე უკვე შექმნილია მთლიანი ფრონტი, სადაც შედიან აგრეთვე სლოვაკთა, რუმინიის და პოლონეთის ჯარები, რომელთაგან უკანასკნელი დასავლეთის ფრონტზე მოქმედებს, რათა გერმანია დაიმორჩილონ და დაიპყრონ.

საზავო კონფერენციის მიერ შაბათს ნაშუადღევისას გერმანიიდან მიღებული ცნობებით პასუხს აღნიშნულ ვადაზე, ე. ი. ორშაბათს ნაშუადღევისას გასცემენ მოკავშირეებს. გერმანელები, ხელშეკრულების აოწერა ალბად ოთხშაბათს მოხდება ამერიკის მთავარ შტაბში.

ფრანგები ფიქრობენ, რომ გერმანიის ახალი დელეგაციისთვის რწმუნებულებათა მიცემას რამოდენიმე დღე კიდევ მოუნდება (პაოასკევამდე) ბროკდორფ რატცაუს მაგიერ დელეგაციის მეთაურად, მოსალოდნელია, რომ ბერნსტორფი იქნეს დანიშნული.

ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ გერმანელები, როგორ პასუხს გასცემენ მოკავშირეებს ორშაბათს. შეიდემანის მოადგილედ დონერსა და მიულერს ასახელებენ, ესენი ორივე ხელშეკრულების მოწერის მომხრენი არიან. სხვა ცნობებით, ეროვნულ ყრილობაზე 421-დან 275-მა ხელშეკრულების მოწერას დაუჭირა მხარი.

დღეს დილით პარიზში ცნობები მოვიდა, რომ ვერც ერთი მთავრობა ვერ მოაწერს ხელს ხელშეკრულობას, თუ მასში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ იქნა შეტანილი. შემდეგ ეს ცნობა უარყვეს.

გერმანელების შეკითხვა იმის შესახებ რომ მათი კონტრ-წინადადებათა პასუხი შეტანილია თუ არა ხელშეკრულებაში, ისე ხსნიან, თითქოს გერმანელები მზად იყვნენ ხელშეკრულების მოსაწერად.

ერთად ერთი საფრთხე, რომელიც მოსალოდნელია, ეს შემდეგია: ორშაბათს გერმანელებმა განაცხადეს, რომ მათ მთავრობა არა ყავთ, ამიტომ არ შეუძლიანთ პასუხის მოცემა, და ვადის გაგრძელება ითხოვეს. ლოიდ ჯორჯი ამაზე თანხმდება, მაგრამ კლემანსო გადაჭრილ უარს აცხადებს.

ფოშმა გადასწყვიტა დაუყოვნებლივ დაიწყოს შეტევა, თუ გერმანიამ ორშაბათს ხელი არ მოაწერა ხელშეკრულებას.

სამგლოვიარო დეკეფა

ბორის სახალხო გვარდიის სამაზრო შტაბი თანაგრძნობას გიცხადებს თქვენ კაკობრიობის იდეალებისთვის თავდადებულ მებრძოლის ტრაღიკულათ გარდაცვალების ნახევარი წლის შესრულების გამო.

საერთო მწუხარების დღეს ძვირფას სანდროს დაკარგვის გამო, ამხანაგები, რომლებიც მასთან მუშაობდენ, თქვენთან ერთად განიცდიან თქვენს მწუხარებას. 146 ნაწილი, გაბუნია, ვარდოიანი, ჯანელიძე, ილურიძე, ქარცივაძე, მაჭავარიანი, მღებროვი და მინაზაროვი.

ბორრტ-მოკმედეგანი.

○ ვასილ ჯაჯუამ (ქუთაისის ქუჩაზე) მილიციას განუცხადა, რომ მისი ბალიდან მოიპარეს ცხენი 8000 მანეთათ ღირებული.

○ 22 ივნისს ღამით ბორორტ-მოქმედებმა არტემ პოპოვის ბინიდან 30,000 მან. ბონები და სხვა და სხვა ნივთები მოიპარეს.

○ ელისაბედ კუდრისკიმ (ევანგულოვის ქ.) მილიციას განუცხადა, რომ მოსამსახურე ქალმა მას 76,200 მან. ღირებული სხვა და სხვა ძვირფასი ნივთები მოჰპარა.

სხვა და სხვა.

კომისიამ, რომელსაც რუსეთის განახლება აქვს მიზნათ დასახული და რომელიც ლონდონში იმყოფება გზავნის რუსეთის სხვა და სხვა ნაწილში საგანგებო კომისიებს, როგორც თვის ფილიალ განყოფილებებს. კომისიებს მიზნათა აქვს დასახული, რუსეთის პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება.

✦ ქალაქის საბჭოს საფინანსო საბიუჯეტო კომისიიდან გამოყოფილია საგანგებო კომისია, რომელიც ხელ ახლა შეაფასებს ქალაქის ყველა მამულებს.

✦ გზათა სამინისტრომ მიაქცია ყურადღება მატარებელთა სიჩქარის დაკლებას და მიმართა ადერბეიჯანსა და სომხეთს შეკითხვით ამ მოძრაობის შესათანხმებლათ ყველა გზებზე, რომ წინანდელი სწრაფი მოძრაობა აღდგენილ იქნეს.

✦ საქართველოს სომეხთა ეროვნულ საბჭოს არჩევნები დანიშნულია 20 ივლისისათვის. ცენტრალურურ საარჩევნო კომისიამ დღემდე 5 სია მიიღო. პირველ სიით გამოდის სოციალისტური ბლოკი; მეორე-სომხეთის სახალხო პარტია; მესამე—სომეხ სოციალ დემოკრატიული პარტია საქართველოში. მეოთხე—დაშნაკელები; მეხუთე აფხაზეთის სომეხთა სოციალ-დემოკრატიული პარტია.

✦ სომხეთის რესპუბლიკის მზრუნველობის მინისტრმა საქართველოში მყოფ თავის რწმუნებულს აცნობა, რომ ის შეუდგეს ჩაბარებას იმ თავშესაფართა, რომელნიც დღემდე იმყოფებოდა.

✦ 22 ივნისს ტფილისში ვანქის ეკლესიის ეზოში გაიმართა სომეხთა მიტინგი, რომელსაც ოვანეს თუმანიანი თავმჯდომარეობდა. მიტინგის საგანი ყარაბაღში მომხდარი ამბები იყო. დიდი ხნის ლაპარაკის შემდეგ დაადგინეს მიმართონ პარიზის საზავო კონფერენციას, რათა ყარაბაღი სომხეთის რესპუბლიკას შეუერთდეს და სანამდე ეს საკითხი გადაწყდებოდეს დაინიშნოს ყარაბაღში მოკავშირეთა ადმინისტრაცია.

✦ პოლკოვნიკ გამბას რომიდან ტფილისში ჩამოსვლის შემდეგ იტალიაში გაემგზავრება საქართველოს დიპლომატიური მისია.

✦ შინაგან საქმეთა მინისტრმა დამფუძნებელ კრების საკონსულტაციო კომისიას წარუდგინა პროექტი ფოცხოვის რაიონის ახალციხის მაზრასთან შეერთების შესახებ.

✦ ქალაქის გამგეობამ გამოჰყო საგანგებო შემფასებელი კომისია, რომელმაც უნდა ხელახლა შეაფასოს ქალაქის უძრავი ქონება.

✦ შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებიდან გააძევეს დენიკინელი ცნობილი ავდეევი.

✦ ვოლგა-კამის ბანკში გუშინ 23 ივნისს შესდგა კრება ტფილისის ყველა საკრედიტო საზოგადოების უფროსებისა, რომელთაც შეიმუშავეს მთელი წყება ზომებისა, რომელიც უნდა მიღებულ იქმნას გაფიცულ საკრედიტო დაწესებულებათა მოსამსახურეთა დასა მაყოფილებლათ, ასე რომ გაფიცვის ლიკვიდაციას დღეს ან ხვალ მოელიან.

✦ მთავრობამ ცნობა მიიღო, რომ ტფ. ალექსანდრე ნეველის სამხედრო ტაძარში, (რუსთაველის ქუჩაზე) წირვა ლოცვის შემდეგ ხდება კრებები, რომელზედაც მთავრობის წინააღმდეგ პროპაგანდას ეწევიან და გარდა ამისა ტაძრის ზოგიერთ მახლობელ წევრთ შეუდგენიათ საზოგადოება, რომელიც მიმხრობია ეგრეთ წოდებულ „ზაკავკაზსკაია რუსის“ ორგანიზაციას. ამ ორგანიზაციას კი მტკიცე კავშირე ჰქონია მოხალისეთა ჯართან და ენერგიულ ბრძოლას ეწეოდა საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ. ამიტომ სამხედრო მინისტრის ამხანაგის ბრძანებით შესდგა ალექსანდრე ნეველის ტაძრის საქმეთა მმართველი კომიტეტი. თუმცა ტფილისის ზოგიერთ რუსთა მიერ ამ ტაძრის ყოფილ რუს წინამძღვრების მეთაურობით აღძრულ იქნა საკითხი ამ ტაძრის გადაცემის შესახებ, მაგრამ მთავრობამ 1918 წლის 1 ივნისის დადგენილებით უარი უთხრა მათ შუამდგომლობაზე, იცნო რა ეს ტაძარი სამხედროთ, როგორც უწინ იყო იმ წესზე და ნებადართო სლავურ ენაზეც მსახურებისა. მიუხედეავთ მთავრობის აშნაირ გადაჭრილ გადაწყვეტილებისა სამხედრო ტაძარი გამოაცხადეს ტფილელ მიტროპოლიტის და ამიერ-კავკასიის ეპისკოპოსის კათედრალულ ტაძრათ. საქმის ამნაირ სახის მიღების შემდეგ სამხედრო მინისტრის ამხანაგმა ამა წლის 3 ივნისს ბრძანება მისცა ამ ტაძრის საქმეთა მმართველ კომიტეტის სახელზე, რომ მას მოეთხოვა ტაძრის წინამძღოლისათვის და მნათისათვის მთელი ქონებისა და ტაძრის გადაცემა კომიტეტის ხელში.

კომიტეტმაც შეასრულა ეს დავალება. მიიღო განსაკუთრებულ სიით ეს ტაძარი და მისი ქონება, ხოლო საქართველოს ლაშქრის, მთავარ სასულიერო პირს დაავალა შესდგომოდა ამ ტაძრის წინამძღოლობის აღსრულებას.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი

1918 წ. აპრილის 3, ტფილისის ოლქის სასამ. უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ილია ივანეს ძე ალიხანოვმა 2,000 მან. მიჰყიდა ტერ-ოსეპ იოსების ძე არუციანს მიწის ნაჭერი, ზომით 2885 კვ. საჟ., მდებარე ქ. გორში, ქალაქის № 346. გადახდილია: სააქტო 3 მან., განცხადების 1 მ. 50 კ., გადასაწ. 1 მან. 20 კ., სიმტკიცის 174 მან. 51 კ., მთავარი ამონაწერი 22 მან. ღირებულების საღერბო ქაღალდზე მიცემულია. 282 1—1

1918 წ. აპრილის 2, ტფილისის ოლქ. სას. უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც დავით ივანეს ძე და ელენე კონსტანტინეს ასულმა ანანიევებმა 10 ათას მან. მიჰყიდეს კონსტანტინე დიმიტრის ძე თეთრაძეს უძრავი ქონება, მდებარე ქალაქ ტფილისის მეორე უბანში, ქალაქის № 118. მამული შეიცავს მიწის ნაჭერს შენობებით, ზომით 70 კვ. საჟ. გადახდილია: სააქტო 3 მან., განცხ. 1 მ. 50 კ., გადასაწ. 1 მ. 20 კ., სიმტკიცის 691 მ. 36 კ., მთავარი ამონაწერი 90 მან. ღირებულების საღერბო ქაღალდზე მიცემულია. 282 1—1

1918 წ. ივნისის 25, ტფილისის ოლქ. სას. უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ალექსანდრე ივანეს ძე და ანასტასია პანტელეიმონის ასულმა ლიუტოვებმა 9,000 მან. მიჰყიდეს მინა ნიკოლოზის ასულს ჯამბურიას მიწის ნაჭერი, ზომით 95,72 კვ. საჟ., მდებარე ქ. ტფილისის მერვე უბანში, ქალაქის № 1208-ა. გადახდილია: სააქტო 3 მ., განცხ. 1 მ. 50 კ., გადასაწ. 1 მ. 20 კ., სიმტკიცის 360 მან., მთავარი ამონაწერი 45 მან. ღირებულების ქაღალდზე მიცემულია. 282 1—1

მატრონა იაკობის ასული ჩევარდოვა აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ნასყიდობის სიგელი, დამტკიცებული ტფ. ოლქ. სას. უფროსი ნოტარიუსის მიერ 1880 წ. თებერვლის 28-ს, რეესტრი-№ 250, პეტრე ევსეის ძე კორმაევის მამულზე, რომელიც მდებარებს ქ. ტფილისში, მე-12 უბანში, ქალაქ. № 273. 829 3—1

1918 წ. ივნისის 27-ს, ტფილისის ოლქ სას. უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ალექსი იაგორის ძე და ანნა ოგანეზის ასული ამზოევებმა 13000 მ. მიჰყიდეს ლაჩი ალი კული-ოღლის და მოლა ჯალალ გაჯი-სამად-ოღლის (სპარს. ქვეშევრდ.) მიწის ნაჭერი, ზომით 30,25 კვ. ს., მდებარე ქ. ტფილისის მე-5 უბ., ბოტანიკურ ქუჩაზე, ქალაქ. № 447. გადახდილია: სააქტო 3 მ., განცხადების 1 მ. 50 კ., გადასაწ. 1 მ. 20 კ., სიმტკიცის 520 მ. მთავარი ამონაწერი 65 მ. ღირებულების საღერბო ქაღალდზე მიცემულია. 282 1—1

თავმჯდომარე ტფილისის ოლქის სასამართლოსი აცხადებს რა, რომ ზაქათალის ოლქის ნოტარიუსის თანამდებობა გაუქმებულია და ნოტარიუსი აღნიშნულ ოლქისა ბრონისლავ გენრიხის ძე გოლცვალდი შტატ გარეშეა დატოვებული, თანახმად ნოტარიალური დებულების მე-16 მუხ., მოიწვევს იმ პირთ, რომელთაც აქვთ რაიმე მოთხოვნა მის თანამდებობის საწინდარზე, რათა მათ ექვსი თვის განმავლობაში დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა შემოიტანონ იგი. 18 ივნისი 1919 წ. სასამართლოს თავმჯდომარე ბ. კიზირია. 1115 1—1

დაკარგულია საქართველოს რკინის გზის ასიგნობის ტალონები №№ 4538, 4702,—1918 წლის. და 3406—1919 წლის, რომლითაც მოიჯარადრე ლიუდვიგ გოლბის უნდა მიეღო ფული ტფილისის ხაზინიდან. ტალონები გაუქმებულათ ითვლება. 827 3—1

1918 წ. ივლისის 25-ს ტფილისის ოლქ. სას. უფრ. ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც იაკინთე ერასტის ძე ნიორაძემ 180 მ. მიჰყიდა გერმანიის ქვეშევრდომი ქალს ბერტა ფრიდრიხის ასულს ვეტცელს მიწის ნაჭერი, ზომით 506 კვ. ს., მდებარე საგაბაშვილოში, ქალ. ტფილისის ახალ ხაზში. გადახდილია: სააქტო 3 მ., განცხ. 1 მ. 50 კ., გადასაწ. 60 კ., სიმტკიცის 7 მ. 20 კ, მთავარი ამონაწერი 1 მ. ღირებულების საღერბო ქაღალდზე მიცემულია. 282 1—1

ტფილისის ოლქის სასამართლოს პირველმა სამოქალაქო განყოფილებამ სისრულეში მოსაყვანათ დაამტკიცა ნოტარიალური ანდერძი გიორგი ანდრიას ძე მესხიევის. 1919 წ. ივნისის 20. 1113 1—1

ტფილ. ოლქ. სას. პირველმა სამოქალაქო განყოფილებამ სისრულეში მოსაყვანათ დაამტკიცა ნოტარიალური ანდერძი ელენე ივანეს ასულის კოლესნიკოვისა. 1919 წ. ივნისის 20. 1112 1—1

ტფ. ოლქ. სას. პირველმა სამოქ. განყოფ. სისრულეში მოსაყვანათ დაამტკიცა ნოტარიალური ანდერძი ალექსანდრე არტემის ძე კაჩარტუზოვის. 1919 წ. ივნ. 12. 1111 1—1

აქციზის სამმართველო ამით აცხადებს, რომ ზაქარია ალექსის ძე კულიაშვილს, სპირტის და არაყის საწყობის პატრონს, რომელსაც საწყობა აქვს ქ. ტფილისში მესამე უბანში გრაფის ქუჩაზედ № 3, დაუკარგავს სპირტის გადმოსატანი მოწმობები 238, 239, 240, 241, 242, 243, 244, 245, 246, 247 და 248 №№-ბით, აღებული 14, 15 და 16 აპრილიდან ა. წ. ეს მოწმობები ამიერიდგან ითვლება გაბათილებულათ. 814 3—2

1918 წ. ივნისის 25-ს ტფილისის ოლქის სასამართლოს უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც კირილე არხიპის ძე ბავდუევმა 5000 მან. მიჰყიდა ალექსი (იგივე ავქსენტი) ლევანის ძე გძელიშვილს მიწის ნაჭერი, ზომით 80,50 კვ. ს. მდებარე ქ. ტფილისის მე-11 უბანში, რომანოვსკისა და ვოდოროზბორნი ჭ., ქალაქ. № 324. გადახდილია: სააქტო 3 მ., განცხ.—1 მ. 50 კ., გადასაწერი 60 კ., სიმტკიცის 200 მ მთავარი ამონაწერი 25 მ. ღირებულების საღერბო ქაღალდზე მიცემულია. 282 1—1

1918 წ. ოქტომბრის 26-ს ტფილისის ოლქ. სასამ. უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ანნა იოსების ასულმა ბრაკერმა 25000 მ. მიჰყიდა მალაქი საყვარელის ძე ოსიშვილს მიწის ნაჭერი, ზომით 130 კვ. ს., მდებარე ქ. ტფილისის მე-8 უბ., ქალაქ. № 303. გადახდილია: სააქტო 3 მ., განცხ. 1 მ. 50 კ., გადაასაწ. 1 მ. 20 კ. სიტკიცის 1120 მან. მთავარი ამონაწერი 140 მან. ღირებულების საღერბო ქაღალდზე მიცემულია. 286 1—1

1918 წ. ოქტომბრის 25-ს ტფილისის ოლქის სასამართლოს უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც დავით, ალექსანდრე, პეტრე, სოფიო, ნინო გრიგოლის ძეთ ბებუთოვებმა და მარიამ გრიგოლის ასულმა გურგენბეკოვამ, ვლადიმერ და ნიკოლოზ გრიგოლის ძეთ ბებუთოვებმა 41250 მან. მიჰყიდეს ვასილ გრიგოლის ძე ბებუთოვს და თამარ გრიგოლის ასულს შახოსკაიას მიწის ნაჭრის 8/10 კვ. ს. ზომით 52,24 კვ. ს., მდებარე ქ. ტფილისის მე-III უბ., ქალაქ. № 305. გადახდილია: სააქტო 3 მ., განცხ. 1 მ. 50 კ., გადასაწ. 1 მ., სიმტკიცის 1650 მ. მთავარი ამონაწერი 210 მ. ღირებულების ასღერბო ქაღალდზე მიცემულია. 286 1—1

სამხედრო სამინისტროს სტამბა აცხადებს, რომ, მან დაჰკარგა ტალონი ასსიგნოვკის № 8761 (1143 მან.), რომელიც იყო გამოწერილი ტფილისის ქალაქის სახალხო ბიბლიოთეკის მიერ. ზემო ხსენებული ტალონი გაუქმებულია. 828 3—1

გიორგი ივანეს ძე კოლესნიკოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი, № 1755 მიღებული ტფილისის ყოფილ პოლიციმეისტერისგან 1908 წ თებერვლის 9-ს. პასპორტი გაუქმებულათ ითვლება. 823 3—1

კოსტა ტიმოთეს ძე მიქიაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი № 2 მიღებული ზნაკვის, რაჭის მაზ., კომისარიატიდან 1919 წლ. იანვარში. მპოვნელს სთხოვს მიუტანოს დეზერტირების ბაზარში, სავაჭრო № 243, წინააღმდეგ შემთხვევაში გაუქმებულათ ითვლება. 825 3—1

თეოდორე პანაიოტის ძე მიხაილიდი აცხადებს რომ მან დაჰკარგა ბერძნის ეროვნული პასპორტი მიღებული ქ. თავრიზში ფრანგების კონსულისგან დეკემბრის 24, 1913 წ. ბილეთი, მიღებული ტფილისის საგუბერნიო კომისარიატიდან დეკემბერში 1918 წ. პასპორტი და ბილეთი გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს. 826 3—1

1918 წ. ოქტომბრის 15-ს ტფილისის ოლქ. სას. უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც იაგორ ივინეს ძე პოლიკანოვმა 18000 მან. მიჰყიდა არმენაკ აბრამის ძე სარქისოვს უძრავი ქონება, რომელიც შეიცავს მიწის ნაჭერს დაუზღვეველ შენობებით, ზომით 70 კვ. ს., მდებარე მე-12 უბ. ქ. ტფილისში, ქალაქ. № 111. გადახდილია: სააქტო 3 მ., განცხად. 1 მ. 50 კ., გადასაწერი 1 მ. 20 კ., სიმტკიცის 720 მ. მთავარი ამონაწერი 90 მან. ღირებულების საღერბო ქაღალდზე მიცემულია. 286 1—1

გიორგი ნიკოლოზის ძე გოდერზაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მეტრიკული მოწმობა № 403 და ატესტატი, მიღებული ავლაბრის მესამე პირველ დაწყებითი სასწავლებლის კანცელარიიდან. ატესტატი და მოწმობა გაუქმებულით უნდა ჩაითვალოს. 816 3-2

აქციზის სამმართველო ამით აცხადებს, რომ ტიგრან გრიგოლის ძე ოთაროვს, ღვინის სარდაფის პატრონს ტფილისის მერვე უბანში, 19 თებერვლის ქუჩაზედ, № 3, დაუკარგავს ტფილისის სახელმწიფო ხაზინიდან ღვინის ბანდეროლების გამოტანის ნებართვის მოწმობა № 45; 29 იანვრიდან ა. წ. ეს მოწმობა ამიერიდგან გაბათილებულათ ითვლება. 813 3—2

დაკარგულია კვიტანცია ტფილისის კერძო ლომბარდისა № 78298, მიცემული 1918 წ. მარგარიტა გამალეიას სახელზე. 817 3-2

დაკარგულია: 1. ნაჩუქრობის ბარათი მიწის ნაჭერზე კოჯორში და 2. ქარვასლის გაყოფის აქტი არშაკ ბალდასარის ძე ხოსროევის სახელზე. 815 3—2

საქართველოს რესპუბლიკის ჯარების სამხედრო სასამართლოს 1919 წ. 18 ივნისის დადგენილებისა თანახმად 951 მუხ. სისხლის სამ. წესდებისა, ეძებს ქუთაისის გუბერნიის და მაზრის მცხოვრებს პოდპორუჩიკ ნესტორ ივანეს ძე ნადირაძეს, 19 წლისას, რომელსაც ბრალი ედება მე-128 და 133 მუხ. XXII წ. კ. სად. 1869 წ. მე-4 გამ. ძალით. ყველა, ვინც იცის სად იმყოფება ნადირაძე ვალდებულია განუცხადოს საქართველოს რესპუბლიკის ჯარების სამხედრო სასამართლოს, რომელიც იმყოფება ქ. ტფილისში (ოლოლას ქუჩა, № 48). 1104 3—2

საქართველოს რესპუბლიკის ჯარების სამხედრო სასამართლოს 1919 წ. ივნისის 18 დადგენილებისა თანახმად 951 მუხ სისხლის სამ. წესდებისა, ეძებს ყოფ. ჯარის-კაცს ქუთაისის მაზრის, რიონის საზოგადოების, ს., ჭოლევის მცხოვრებს ვარლამ ზაქარიას ძე ბუაძეს—19 წლისას, რომელსაც ბრალი ედება მე-128 და 133 მუხ. XXII წ. კ. ს. დ. 1869 წ. მე-4 გამოცემის ძალით. ყველა, ვინც იცის სად იმყოფება ბუაძე ვალდებულია განუცხადოს საქართველოს რესპუბლიკის ჯარების სამხედრო სასამართლოს, რომელიც იმყოფება ქალ. ტფილისში (ოლლას ქუჩა, № 48). 1105 3—2

დაკარგულია საკრედიტო მოწმობა № 2854 5772 მ. მიცემული პავლე იაკობის ძე ეზოვზე 1919 წ. აპრილის 26-ს, ჯარების ბინებით დამაკმაყოფილებელ სამმართველოდან. მოწმობა გაუქმებულათ ითვლება. 801 3—2

სტამბა საქართველოს მთავრობისა.

დროებითი რედაქტორი ვიკტორ ნიზაძე.